გაზეთის ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


ელენე გრიგოლის ასული გაბაშვილისა, სვიმონ და ანნა დავითის ძენი გაბაშვილნი და სოფიო დავითის ასული ტრეშატნისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—შვილისას, დანარჩენი—ძმისას თვისისას, კონსტანტინე დავითის ძის გაბაშვილისას, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ 24 სექტემბერს, დილის 9 საათზედ ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. პანაშვიდი იქნება 23 სექტემბერს დილით 11 საათზედ და საღამოს 6 საათზედ. (2—1)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

სამშაბათს, 29 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, თავად-აზნაურობის ბანკის სადგომში იქნება ქართულის დრამატიულის საზოგადოების

### წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 2) მოხსენება მმართველობისა მომავალის სეზონის შესახებ, ❧ 3) არჩევანი ახალის წევრებისა. (3—2)

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

20 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა და მოკვდა გლეხის დედაკაცი კურსკის გუბერნიისა, მარია აგეევისა (ვერაზედ, აგურხენების ქუჩა, № 9).

გორის მაზრის დ. ბორჯომში 12—15 სექტემბრამდე მორჩა 1, ავადმყოფი არ არის; 13—17-ს ახალ-უბანში მოკვდა 1, ავად არავინ არის; კარბში მოკვდა 1, ავად არის 6; ფლავს ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 1; მარანს გარდ. 1, ავად არის 1; ჭალაში ავად არავინ არის.

თიონეთის მაზრის ალვანის მინდვრის სოფლებში იყო შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისა.

სიღნაღს ახლო, ნუკრიანში ავად გახდნენ ხოლერის მინაგვარ ავადმყოფობით მარიამ ქურდაშვილი და ნინო გოგინაშვილი. ბორჩალოს მაზრის ს. ბაშკიჩეტში 15 სექტემბერს ავად გახდა ბოქაული ზაალიშვილი და 2 დუხაბორი, რომელთაგანაც 1 გარდ. ახალქალაქში მორჩა 20 სექტემბერს 1; მაზრაში ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 1, დარჩა 4 ავადმყოფი.

## ახალი ამბავი

*** წელს ხოლერამ სოლოლაკზედ, მთაწმინდაში და ვერის ზოგიერთს ადგილას ისე ვერ იჩინა თავი, როგორც ქალაქის სხვა უბნებში. მეტადრე სოლოლაკსა და მთაწმინდაში სულ არ იყო ეს სენი. ამიტომ წელს ამ უბნებში სახლებს ძალიან ბევრი მოქირავნე გაუჩნდა: ყველას იქ უნდა სახლის დაქირავება.

*** ზუგდიდის მაზრის ჯარში გასაწვევთა კრება დაიწყება 1, 10 და 20 ნოემბერს თვით ზუგდიდში. რაჭის მაზრის დ. ონს 15 და 30 ნოემბერს, ს. ამბროლაურს—1 და 15 ნოემბერს.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზამენები უკვე დაიწყო. 25 სექტემბერს წირვის შემდეგ აქტი იქნება და მერე სწავლა დაიწყება კიდეც.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას კავკავის ქართულის სკოლის უფროსს მასწავლებლად გაუმწესებია ბ-ნი ლ. ბოცვაძე.

*** 21 სექტემბერს ავჭალის ქუჩაზედ, რკინის გზის ლიანდაგს იქით, დიდი ჩხუბი მოხდა სოფლელებ შორის. ეს სოფლელები ურმებით მიდიოდნენ ქალაქიდგან და ძალზედ იყვნენ ნასვამნი. ქართველთ გარდა, ოსებიც ერივნენ. ჯერ ერთს ოსსა და ქართველს მოუვიდათ ჩხუბი: ერთმანეთს სისხლი დაადინეს. მერე ატყდა საერთო ჩხუბი, ქვის სროლა და ხანჯლების ტრიალიც-კი. ზოგს თავი გაუტყდა, ზოგი დაიჭრა და ზოგი ძალზედ ნაცემი შეიქმნა. დაჭრილები ურემზედ დააწვინეს და წაიღეს. საათ-ნახევარს გასტანა ამ ჩხუბმა და ვაი-ვაგლახმა და ერთი პოლიციელი არსად იყო, რომ დაეზავებინა მოჩხუბარნი.

*** ბათუმი: აგვისტოში ოსმალეთიდგან დაბრუნდა ოც-და-ათი ოჯახ ქვაბლიანიდგან წასულ მაჰმადიანებისა, რომლებიც შარშან გადასახლდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყნიდგან. დაბრუნებულნი შვიდ დღეს გემში იყვნენ გაჩერებულნი და ამის გამო დიდი გაჭირვება გამოიარეს. ამათ თან მოსდევდნენ ათამდე ჰაჯები. იმათა სთქვეს, რომ მოვტყუვდით, ოსმალმა მოგვატყუილა, იქ ვერ დავდექით და ამიტომ იქით ნურც სხვები წავლენ, თორემ დიდად შესცდებიანო. დაბრუნებულთ ბათუმიდგან აჭარაზედ გაიარეს.

*** გაზ. „Т. Л.“-ი ამბობს, რომ კავკასიის ტყის მრეწველები შუამავლობენ ფინანსთა მინისტრის წინაშე, ნულარ მიეცემათ, შემდეგში უცხოეთიდგან შემოტანილს ხე-ტყეს შეღავათი, რადგანაც კავკასიაშიაც ბევრია ის ხე-ტყე, რომელიც ამ ჟამად ავსტრიიდგან მოაქვთო.

*** იმავე გაზეთს აცნობებენ სოფ. ტერეზიდგან, რომ ამ სოფლის ეკკლესიის გალავანში 8 ენკენისთვეს, ღვთის-მშობლობის დღეობაზედ, მომხდარა შემდეგი ამბავი: ვიღაც ბექამელს მცხოვრებს გლეხს, ა. ქიქოძეს მოსვლია ჩხუბი სავანლიანთ უბანში მცხოვრებ ხიზან ჯიოშვილთან (ნაოსართან) და ხანჯლით სასიკვდილოდ დაუჭრია. დაჭრილი საექიმოდ თავისსავე სახლში წაუყვანიათ.

*** რუსეთის გაზეთებში სწერია, რომ პეტერბურგის დედათა საფელშრო კურსები მიიღებს მხოლოდ იმათ, რომელთაც გიმნაზიიდგან კარგი მოწმობა ექმნებათ მიცემული, რადგანაც ამ კურსებზედ შესვლის მსურველი ძლიერ ბევრია. სწავლა 1 ოქტომბრიდგან დაიწყება.

## მთავრობის განკარგულებანი

სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტალიონი დავით ქურული.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან სინოდის კანტორის სტოლის უფროსი ლევან ივანეს ძე ცისკარაშვილი.

გორის მაზრის მცხოვრები ზაქარია მიხეილის ძე ცალქალამანიძე სამსახურში მიღებულ იქმნა ერევნის ოლქის სასამართლოში.

## ქალაქის საბჭო

21 სექტემბერი

კრებაზედ წაკითხულ იქმნა მოხსენება ი. ს. ყორღანოვისა შესახებ იმისა, რომ თვით-მმართველობამ იკისროს ❧ მცხოვრებთ სახლში მიუტანოს წყალი ქალაქის მილიდგან. ამ საქმისათვის ქალაქმა უნდა გააკეთებინოს ბოჩკები, შეიძინოს ცხენები და იქირაოს მუშები წყლის საზიდად. ი. ს. ყორღანოვს გამოუანგარიშებია, რომ ამ საქმით ქალაქის თვით-მმართველობას სულ ცოტა 40,000 მანათი შემოსავალი ექნებაო წელიწადში.

ნ. ი. ნიკოლაძე. მე თანახმა ვარ შეწყნარებულ იქმნას ეს პროექტი, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ თავის ხარ-

# ფელეტონი

## ალიაქოთი ოჯახში

სურათი ამერიკის ზნე-ხასიათისა

(გერმანულით)

— ...აბა, ვიმედოვნებ, რომ მიმიხვდით, ასე დაასრულა სიტყვა მისტერ ბენიამენ უადვორტმა, რედაქტორმა გაზეთის „Saint-Louis-Review“-ისამ. ახირებული რამ ამბავი— აი ჩვენ რა მოგვინდება! Weekly-Çazette-მა აგერ ლამის გვაჯობოს, თუ ჩვენ არ ვეცადენით და წინ არ გადუარეთ. მიმიხვდით? საჭიროა, რომ ერთი ათის გაფრენით მაინც ვაჯობოთ. მომავალ კვირას დაიწყება მეორე ნახევარი წლის ხელის მოწერა და, მაშასადამე, უნდა ავჩქარდეთ. მე თქვენ, მისტერ გარვეი, დიდად ნიჭიერ კაცად მიმაჩნიხართ და დიდი იმედიც მაქვს თქვენი.

— კარგი ბატონო, მაგრამ მაგისათვის იმას ხომ ვერ ვიზამ, რომ ვინმე მოვკლა და ან რომელსამე ზარაფს დახლი გავუტეხო, ამას ვერ ვიზამ.

— „ვერ ვიზამო“ რას მიქვიან! შეჰყვირა მისტერ უადვორტმა, მაშ რა თავში ვიხლი რეპორტიორებს! მისთვის ხომ არა, რომ მაცნობონ, გალიიდგან ჩიტი გაფრენილაო და ან ჩვენი პატივცემული მოქალაქე ბ. X მალე იდღესასწაულებს ქორწინების ორმოც-და-ათის წლის თავსაო. მაშ როგორ გგონიათ, ტყუილად გაძლევთ რვაას თუმანს წელიწადში? არა, რეპორტიორებისაგან მე სულ სხვა გვარ ამბებს მოველი.

— კარგი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არც კაცის კვლა მოხდეს და არც ქურდობა...

მისტერ უადვორტმა იტკიცა.

— რა არის, რომ სულ ერთსა და იმავეს გაიძახით, მაგის მეტი განა სხვა აღარა მოხდება-რა? აი ვსთქვათ პრეზიდენტის მოკვლა მოინდომა ვინმემ, ოჯახში აყალმაყალი მოხდა რამე... კიდევ ვინ იცის, რა არ მოხდება. ასეთი ამბავი ჩვენს გაზეთს ხელის მომწერლებს შემატებს და „Weekly Çazette“-ს, პირში ჩალას გამოვავლებთ.

— მაშ ისა გსურთ, რომ ამბავი რამ შევთხუზო? შეეკითხა გარვეი.

უადვორტმა გაკვირვებით შეაჭყიტა თვალები.

— შევთხუზოო? ბ-ნო გარვეი, ნუ გავიწყდებათ, რომ მე XIX-ე საუკუნეში ვსცხოვრობთ და 1892 წლამდისაც-კი მოვაღწიეთ. ეხლა საზოგადოებას გამოგონილ ზღაპრებისა აღარა სწამს-რა. იმას ის უნდა, რომ ნამდვილი ამბავი აუწეროთ და შიგ იმათი სახელი და გვარი ჩაურთოთ, ვისაც გადახედია ეს ამბავი.

— მე ხომ ვერ მოვახდენ საგაზეთო ამბავს...

— თქვენი საქმისა თქვენ იცით.

ცივად უპასუხა უადვორტმა, მაშ რვაას თუმანს რისთვის გაძლევთ?..

— თქვენ ის გინდათ, რვაასს თუმნისათვის ოჯახში შევუვარდე ვისმეს და ბედნიერება დავურღვიო? არა ამას ვერ ვიზამ,—ჩაიბუტბუტა გარვეიმ.

ამ პასუხის მოსმენამ უადვორტს წარბიც არ შეახრევინა.

— ძალიან კარგი, ათას-ორას თუმანს მოგცემთ ჯამაგირს, ოღონდ-კი გამოატყვრინეთ რამე. მიმიხვდით? ან თქვენ თითონ მოაგვარეთ ასეთი რამე, ან თუ არა-და, 1 იანვრიდგან ჩვენს რედაქციას გამოეთხოვეთ.

ის ის იყო გარვეის უნდა ეპასუხნა, რომ შემოვიდა მსახური და მიაწოდა ტელეგრამა უადვორტს. სახის მეტყველებაზე შეეტყო, რომ სასიამოვნო ამბავი იყო დეპეშაში.

უადვორტს ჩვეულებად ჰქონდა, ყველა დეპეშას რედაქციას გადასცემდა ხოლმე, ეს-კი მაშინვე ჯიბეში გააქანა.

— პოლიტიკის შესახებ ხომ არ არის? ჰკითხა გარვეიმ.

—არა, საკუთრად მე შემეხება: ხვალ რკინის გზის საგანგებო მატარებლით კუპერი მოვა ახალ-ორლეანიდგან.

— კუპერი! „Orleans News“-ის რედაქტორი?

— დიაღ.

— გაზეთის საქმეების გამო მოდის, თუ სხვა რამ საქმე აქვს?

— სხვა საქმე აქვს, მიუგო უადვორტმა და თვალი-თვალს გაუყარა: ჩემის ქალის შერთვა უნდა.

— ელეონორასი! წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა და ფეხზედ წამოხტა: საბრალო სრულიად გონება დაკარგული შესცქეროდა თავისს უფროსს. უადვორტმა ისეთი სახე აჩვენა, რომ ყმაწვილი კაცი სახტად დარჩა და სირცხვილით გაწურული დაჯდა თავისს ალაგას.

— მაშ, არ შემცდარვარ, სთქვა უადვორტმა და გარვეის მიჰმართა: ყმაწვილო კაცო, მე თქვენ ყოველთვის გაფასებდით და პატივსაც გცემდით, არა მარტო როგორც რეპორტიორს, არამედ როგორც კაცს. მაგრამ თქვენ თითონ მიხვდით, რომ ჩემი სიძე მე უნდა შემეფერებოდეს. სახელითაცა და ქონებითაც. კუპერი ღირს ოთხას თუმნად და არ უნდა

ჯით მილები გაიყვანოს ყველა სახლში და სახლის პატრონს $^3/_4$ კაპეიკი გამოართვას ვედრაში, ე. ი. სწორედ იმდენი, რამდენიც, ბ-ნ ყორღანოვის გამოანგარიშებით დაუჯდება წყალი ყველა მცხოვრებს, თუ ვინიცობაა პროექტი იქმნება მიღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვშიშობ, რომ ქალაქის მმართველობას ისე მოეწონება ყოველ წლივ ამ 40,000 მანათის აღება, რომ სახლებში მილებს არ გაიყვანს და ჩვენი, ისრეც უხეირო, წყლის მილი არასოდეს არ მოუტანს იმ სარგებლობას ქალაქის მცხოვრებთათვის, რა სარგებლობის მოტანაც შეეძლებოდა იმ შემთხვევაში, წყლის მილის საქმე რიგიანად რომ ყოფილიყო მოწყობილი. თუ ქალაქს არა ჰქონდა და არა აქვს შეძლება ერთბაშად ყველა სახლში გაიყვანოს წყლის მილი, მაშ უნდა ეცადოს, ცოტ-ცოტა მაინც გამართოს მილები, ჯერ ქალაქის ერთს ნაწილში, მერე-მეორეში და სხ. და როდესაც მილი ყველა სახლში იქნება გაყვანილი, მაშინ, რა საკირველია, ქალაქი თავს დაანებებს სახლებში წყალის დატარების საქმეს.

მ. ი. თამამშოვი. ძნელია სთქვას კაცმა, რამდენად სასარგებლო იქნება ქალაქის თვით-მმართველობისათვის ბ-ნ ი. ს. ყორღანოვის მიერ წარმოდგენილის პროექტის განხორციელება. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა, ეს პროექტი გარდაეცეს ქალაქის გამგეობასა და საფინანსო და საშენობო კომისიებს განსახილველად.

მ. მაჩაბელი. ი. ს. ყორღანოვის პროექტი მე სასარგებლოდ მიმაჩნია, ხოლო დავუმატებ იმას, რომ ამ პროექტში ყველაფერი დაწვრილებით არ არის გამოანგარიშებული და ამიტომ ამ პროექტს ვერ შევიწყნარებთ, ვიდრე ქალაქის გამგეობა დაწვრილებით არ განიხილავს.

იონესიანი. ს. ი. ყორღანოვის პროექტის შესახებ მე ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვი. ჩემის აზრით, საჭიროა მხოლოდ შემდეგი საგანი განვიხილოთ: სასურველია, თუ არა, რომ ქალაქის მმართველობამ ვაჭრობა დაიწყოს. ვსთქვათ, შევიწყნარეთ ი. ს. ყორღანოვის პროექტი, ვიყიდეთ ცხენები და ბოჩკები, დავიწყეთ წყლის ზიდვა და ვყიდით მცხოვრებლებზედ. ხვალ კიდევ სხვა რაიმე პროექტი გამოტყვრება. იტყვიან, მეფურნეები კარგს პურს არ აცხობენ, თუმცა პურის ვაჭრობით ბევრს ფულს იგებენო. ამიტომ საჭიროა, ჩვენ თითონ გავმართოთ ფურნები, ვიყიდოთ კარგი ფქვილი, გამოვაცხოთ პური და ვყიდოთო. პურსაც კარგს გავყიდით და ფულსაც მოვიგებთო. შემდეგ იმასაც იტყვიან, მოდი საქონელი ვიყიდოთ, ჩვენ თითონ დავკლათ და გავყიდოთო. ყველა ამით ქალაქის მმართველობა, მართალია, ფულს მოიგებს, მაგრამ ისიცა ვსთქვათ, ქალაქის საქმეა წყალითა, პურით და ან ხორცით ვაჭრობა?

ქალაქის ინჟენერი ენფიანჯიანცი. ი. ს. ყორღანოვის პროექტი, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ იკისროს სახლებში წყალის მიტანა, იმიტომ არის შესაწყნარებელიო, ამბობენ ზოგიერთი ხმოსნები, რომ ჩვენს ღარიბს ქალაქს წელიწადში 40,000 მანეთს შესძენსო. ვნახოთ, საიდგან შესდგება ეს 40,000 მანათი. ეხლა თულუხჩებს დააქვთ წყალი ბ დღეში 3 მანათს იღებენ. ქალაქს იგივე საქმე დღეში 2 მანათად დაუჯდება. მაშასადამე, დღეში რჩება 1 მანათი მოგება ერთის ცხენიდგან. წყლის მილის ონკანიდგან მახლობელ სახლამდე ეხლა მუშებს დააქვთ წყალი და დღეში 1 მანათს იღებენ, ქალაქის მმართველობა მუშას 50 კაპეიკად იქირავებს და 50 კაპ. დღეში აქედგან დარჩება. მაშასადამე, ქალაქი 40,000 მანათს იმ ფულიდგან იგებს, რომელსაც ეხლა თულუხჩები იღებენ. ჩემის აზრით, თუ ქალაქს ძლიერა ჰსურს ამ 40,000 მანათის შემოსავალი, შეუძლიან ეს ფული თულუხჩებს გადაახდევინოს, მაგალითად ამ გვარად: წყლის მილის ვედრა წყალი $^1/_4$ კაპეიკად იყიდება. ქალაქს შეუძლიან ამ ფასს მოუმატოს და თულუხჩებს-კი აუკრძალოს, რომ წყალს ფასი მოუმატონ; უბრძანოს ისევ იმ ფასადა ჰყიდონ, როგორც ეხლა ჰყიდიან. ამ გვარად, ქალაქი მაინც აიღებს იმ 40,000 მანათს. ქალაქისთვის ძლიერ ძნელია ი. ს. ყორღანოვის პროექტის შესრულება. ჯერ ერთი, რომ ამ საქმეს დიდი ხარჯი და დიდი წინ-გაძღოლა ეჭირვება. ამ ჟამად ონკანებიდგან წყალსა ჰყიდიან. თულუხჩი ფულს იხდის და წყალი მიაქვს. მცხოვრებთ-კი მეთულუხჩე ნისიად აძლევს წყალსა და კვირაში ერთხელ ართმევს ფულს. ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, ჩვენ ნაღდს ფულზედ უნდა ვყიდოთ წყალი და ამასთანავე ამ საქმეს დიდი კანტროლი მოუნდება. არა, ჩემის აზრით, ი. ს. ყორღანოვის პროექტი რომ განხორციელდეს კიდეც, შეიძლება 40,000 მანათს მაგიერად ყოველ წლივ 40,000 საყვედური მივიღოთ ტფილისელებისაგან.

კრებამ გარდასწყვიტა, ი. ს. ყორღანოვის პროექტი გადაეცეს ქალაქის გამგეობას და საფინანსო და საშენობო კომისიებს განსახილველადაო.

---

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები — წყალ-წასაღები ამბავი)

რა არის ზოგიერთ კორესპონდენტი გაზეთისათვის? არასოდეს გიკითხავთ თქვენდა თავად, მკითხველო? ზოგიერთი ქართველი კორესპონდენტი ის კალმოსანია, რომელიც სოფლად მიკუნჭულა სადმე, „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ კურსი გამოვლილი აქვს და ყოველს ორს კვირაში ერთხელ თავისს მოვალეობადა სთვლის, სიცხით შემხმარსა და ამომშრალს მელანს წითელი ძმარი დაასხას, ბატის ფრთა მოიმარჯვოს და ასე დაიწყოს:

> ჩვენი სოფელი მდებარეობს ამდენს ვერსზედ, აღმოსავლეთით უძევს... დასავლეთით... სამხრეთით... ჩრდილოეთით... სოფელი გრძლად არის გაწოლილი ამა-და-ამ სოფლებს შუა, ბოლო-კი ცოტა ქეშად გაუშვერია. სოფელში მოსახლობს ამდენი გლეხი... აზნაური... თავადი... როგორც ამბობენ, ეს სოფელი გაუშენებია ბატონიშვილს (სახელი აღარ ახსოვთ). მიზეზი სოფლის გაშენებისა ისა ყოფილა, რომ ბატონიშვილს აქაურს ოღრო-ჩოღრო მინდორზედ ფეხი წაჰბორძიკებია, წაბარბაცებულა (აღარ ახსოვთ, დაცემულა კიდეც, თუ არა) და უთქვამს, ეს ადგილი გასწორდეს და სოფელი გაშენდეს, სახელად ეწოდოს ბარბაცელაო. სოფელს ბარბაცელაში ნიადაგი (აქ გრძელი უსტარია ნიადაგის სინოყივრისა და სარწყავურწყაობის შესახებ)... ხალხი მისდევს (აქაც გრძელი უსტარია, რას მისდევს ხალხი)... აქაური მამასახლისი (დაწვრილებით არის აღნუსხული ბიოგრაფია მამასახლისისა, ნათქვამია, სად და როგორ, რა მიზეზით დაიწერა ჯვარი, რამდენი ვაჟიშვილი და ქალიშვილი ჰყავს) და სხ. და სხ.

ასეთი ამბებია მოთხრობილი შვიდის ნაბდის გაშლაზედ. ჰკითხულობ და გული გაწვრილდება, გინდა შეიტყო, ბოლოს, რა მოხდა, კორესპონდენციის გამოგზავნა რას გამოუწვევიაო... ჰკითხულობ და ჰკითხულობ... აგერ, ბოლომდისაც მიაღწიე... უცბად თვალს მოჰკრავ: „ჩვენს სოფელში ერთი შესანიშნავი ამბავი დატრიალდა“... ძლივს, მადლობა ღმერთსაო, იფიქრებ და დაეწაფები ამ შესანიშნავს ამბავს...

> გლეხის ჭოტორაშვილის მაკე ძროხა აზნაურის ხბოსფეხაშვილის ვენახში შესულა და აქ ხბო მოუგია. ეხლა აზნაური ხბოს აღარ ანებებს, ოქმი შედგენილია და ამ საქმის გამო საჩივარი სწარმოებს კიდეც.

მიაგდებ ამ წერილს იქით, ვნახოთ მეორე კვირას ამავე სოფელში იგივე კორესპონდენტი შენიშნავს, რომ იქაური ნალბანდი ცხენის ნალს, სამის ლურსმნის მაგიერ, ორსა ჰკრავს და კვლავ თავიდგან დაიწყებს:

> ჩვენი სოფელი ბარბაცელა მდებარეობს...

და სხვანი, ვიდრე ჩაალწევს ცხენის ჩლიქებამდე. ვაი თქვენი ბრალი, თუ ამასაც დავიწყების კალათაში უკარით თავი და არ დაუბეჭდეთ. ორს დღეზედ გაცამწყრალ-გაგულისებული კორესპონდენტი შემდეგს რისხვით სავსე წერილსა სწერს:

> „ღმერთმანი, თქვენს უზურში და ოხტში ძე ხორციელი ადამიანი ვერ მოვა!.. კორესპონდენტს ვერ გამოურკვევია თქვენი პროგრამმა (sic!)!.. რა არის, ღმერთი არ არის... კაცი გწერთ წერილს, გიგზავნით, სწუხს საზოგადო უთავბოლობაზედ (იგულისხმეთ: სხვა მამულში მოგებული ხბო და ორ-ლურსმიანი ნალი), მარკებს ჰხარჯავს და თქვენ-კი ყურადღების ღირსსაც არა ჰხდით... ისეთი მტკნარი უმარილო წერილი როგორ იყო, რომ დაბეჭდვა არა ღირდა (ოღონდაც, რომ ისეთი არ იქნებოდა), თუნდა წვრილი ამბების მაგიერად“...

ჰკითხულობ ამ საყვედურისა და რისხვის წერილს და იმის მეტი აღარა დაგრჩენია-რა, რომ ხელები გაასავსავო და ინატრო: „ღმერთო, უარესისაგან დამიხსენ და ამ გვარ მოამბე-მთხრობლებს ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორეო!“

მაგრამ ეს კიდევ ღვთის წყალობაა. კორრესპონდენტს ეტყობა, შეუგნია, რომ გაზეთი საზოგადო ჭირსა და ვარამს უნდა შეეხოსო, და ცხენის ნალზედ ლაპარაობკს. მართლაცა-და, ორი ლურსმანი რად უნდა დაჰკრას ნალბანდმა, როცა რიგი და წესი სამი ლურსმანია, ღმერთსაც ასე უბრძანებია და კაცის ხელსაც ისე გაუკეთებია. ამ ნალსა და ცხენის ჩლიქს კიდევ საზოგადო მნიშვნელობა აქვს, რადგან ცხენი ერთს ხომ არა ჰყავს, ბევრს მოეპოვება და ბევრისთვის არის საგულისხმიერო ეს ამბავი.

წარმოიდგინეთ, ერთს დღეს საგაზეთო წერილთა შორის ამოიკითხავთ:

> „ბ-ნო რედაქტორო! თქვენს ლხენას, გამოაცხადეთ, რომე ჩემი ბიცოლა მეტად კაპარჩხინა და თავ-აგდებული დედაკაცია. რომ დაბეჭდოთ, მოიშლევინებს და უტევებს თავისს რაცხა მიდებ-მოდებას. თვარა ეიკლო, ბატონო, მთლა სოფელი“...

ან კიდევ:

> „27 ივლისს მე ჯვარი დავიწერე ერთს ქალზედ... დაიწყეს ჭორაობა, მამის უნებურად ჩაიდინა ასეთი საქციელი ურჩმა შვილმაო. მამაჩემს მიწა 2,500 ქცევის მეტი არა აქვს, მაინც გამოჩენილ მემამულე აზნაურთა შორის ითვლება ჩვენს მაზრაში. მსურს აქვე მოვიხსენიო მამის ჩემის შეხედულობა და ჰაზრი ამ საგანზედ,

აქ შვილს მოჰყავს მამის წერილიდგან ამოღებული შესანიშნავი აზრი ცოლის შერთვის შესახებ. აი ეს აზრი:

> „ბუნების კანონი თხოულობს, რომ კაცმა მისი საცოლე მის მიერვე მოწონებული შეირთოს, და შენ როგორც სრული წლოვანს შეგიძლიან, ვინც შენ მოგწონს და გინდა შეირთო, თუ სიყვარული რომელსაც ნამდვილი ქვიან ის სწარმოებს და არა დროებითი მე სრული თანახმა ვარო. და თუ პატივისცემა გაიძულებს, რომ ეგ საქმე ასე ჰქნაო, მაშინ პატივისცემისთვის მე მზათ ვარ შენი პატივისმცემლები დავაჯილდოვო 2,000 ფულებითაო“...

ეს გახლავთ მამის აზრი. თუმცა ცოტა ძნელი გასარჩევია, ვისი რა პატივისცემა, ან „2,000 ფულები“ რა ღირსებისაა, ან გაზეთი ამ შვილისა და მამის მიწერ-მოწერაში რა შუაშია, ან გაზეთი რომელი სინოდის კანტორაა, რომ ცნობები ჰკრიბოს, ვინ ვისზედ დაიწერა ჯვარი, სრულ-წლოვანი იყო თუ არა, მშობლებმა დართეს, თუ არა ნება, მაგრამ მაინც-კი უნდა დაბეჭდილიყო, რადგან, ჯერ ერთი, აზრია მოხუცის კაცისა ქორწინების შესახებ. თუ მთელი „დამაკვირდი“ დავბეჭდეთ და ვილაც ჰეინესა და ვოლტერის აზრებით, რომელნიც ქართველებს არც ბიძაშვილებად მოგვხვდებიან, არც მამიდაშვილებად, გავავსეთ, ეს აზრი რილათია დასაწუნი? მეორეც ისა, რომ, რომ... კაცმა კაცს ხათრი არ უნდა გაუტეხოს. აი როგორ იმუდა-

---

გიკვირდეთ, რომ იმას ვაძლევ ჩემს ქალს.

გარვეი ჯერ კიდევ ჩუმად იჯდა, როდესაც უადვორტმა ქუდს ხელი მოავლო და წასვლა დააპირა.

— დავანებოთ ამ ლაპარაკს თავი, ძვირფასო გარვეი, მაგრამ პირობა ნუ დაგავიწყდებათ გაზეთის შესახებ.

ამ დროს გონს მოვიდა გარვეი, მოისაზრა ყოველივე და შეაჩერა რედაქტორი.

— მოითმინეთ; თქვენ დამპირდით ათას ორას თუმანს, უკეთუ ისეთს აყალმაყალს მოვახდენ რომელსამე ოჯახში, რომ მერე გაზეთშივე აღვსწეროთ.

— დიაღ!

— შეიძლება ეხლავე მიბოძოთ წინდაწინ ოთხი ათასი მანეთი?

— ეხლავე რაღაო?

— ის ფული იმიტომ მინდა, რომ ერთი გასათხოვარი ქალი უნდა შევაცდინო.

— ბატონი ბრძანდებით, წავიდეთ, აი კასირიც მოვიდა.

სიამოვნებით სახე უცინოდა უადვორტს. კარგად იცოდა, რომ ფული ყოვლად შემძლებელია და ოთხი ათასი მანათი მალე შესძენდა ორი ათასს ხელის მომწერელს.

— შნო უნდა ჰქონდეს კაცსა, შნო!

### II

მეორე დღეს დილით ჩვეულებრივს დროს ახალ-ორლეანში რკინის გზის საგანგებო მატარებელი მიუახლოვდა სადგურს და მისტერ ბენიამინე უადვორტმა სულითა და გულით მიიღო თავისი მეგობარი მისტერ რობერტ კუპერი...

მეგობარნი საუზმის შექცევაში იყვნენ და ელოდნენ მისს ელეონორას. ამ დროს მოსამსახურემ შემოუტანა ახალთ-ახალი ნომერი გაზეთის Saint Louis Review-ისა. გაზეთის ბეჭდვა საზოგადოდ იწყებოდა დილის სამ საათზედ, ასე რომ იმ ღამის ცხელ-ცხელი ამბების დაბეჭდვასაც-კი ასწრებდა.

უადვორტმა გაზეთს ხელი წაავლო, თვალი მოჰკრა გარვეიას სახელს და სიამოვნებით დაიწყო კითხვა. „ალიაქოთი ოჯახში“. „წუხელის ჩვენს ქალაქში შემდეგი ამბავი მოხდა: ერთს ფრიად პატივცემულს ოჯახში გადასწყვიტეს, ერთად ერთი ქალი იმ კაცისათვის მიეთხოვებინათ, რომელსაც ქალი სულ ვერ იცნობდა. თუმცა იმისმა მამამ კარგად იცოდა, რომ ქალს სხვა უყვარდა. მკითხველები, რა საკვირველია, დიდად განცვიფრდებიან, თუ ამ ამბავს იმასაც დავუმატებთ, რომ ამ წუთას ქალის მამა სასიძოთი საუზმეს შეექცევა და ელის თავისს ქალს, რომ გააცნოს საქმროს, ის-კი არა თუ საცაა შეიტყობს, რომ მისი ქალი თავის მიჯნურითურთ რკინის გზის საგანგებო მატარებელში ზის და ნიუიორკისაკენ მიჰქრის. აი ამ ყოფაშია საქმე ეხლა, როცა ჩვენ საჩქაროდ ვსწერთ ამ შენიშვნას რედაქციაში. ვნახოთ საქმე როგორ დატრიალდება და იქნება ჩვენს მკითხველებს გაქცეულთა ვინაობაც ვაუწყოთო“.

კითხულობდა უადვორტი ამ ამბავს და თან სახე ელრუბლებოდა. გაათავა თუ არა კითხვა, შემდეგი დეპეშა მოართვეს:

„შეგისრულდათ თუ არა სურვილი? დევნა ჩვენი ამაო იქმნება; მდევარი ველარ მოგვეწევა. მივდივართ ინგლისს, სადაც დავქორწინდებით, ამისთვის გვინდოდა ოთხი ათასი მანეთი. მალე გაცნობებთ ჩვენს ადრესსაც. გარვეი“.

მისტერ უადვორტი გაფითრდა.

— შეუძლოთ ხომ არა ბრძანდებით, რა გემართებათ? შეეკითხა კუპერი.

— მომიტევეთ, უპასუხა გონ-დაბნეულმა უადვორტმა: რაც ეხლა მაცნობეს, თქვენც შეგეხებათ. ჩემი ქალი სხვას ირთავს ქმრად. დიდად ვსწუხვარ, რომ ეს ასე მოხდა, მაგრამ გაქცეულის შეჩერება არ ძალმიძს. მეც ეს-ეს არის შევიტყე ეს ამბავი საკუთარის გაზეთიდგან.

— თქვენის საკუთარის გაზეთიდგან?

— ჰო, რა საკვირველია მერე, უპასუხა უადვორტმა, ისეთის კილოთი, რომელშიაც სიამაყე და თავ-მომწონება ისმოდა; ჩვენი გაზეთი ისეთი გაზეთია, რომ ყველა გაზეთზედ ადრე შეიტყობს და ჰბეჭდავს ხოლმე ყოველ გვარს ამბავს.

— დასწყევლოს ღმერთმა, შესძახა კუპერმა, როცა წაიკითხა დეპეშა: ღირდა-კი ამ წყეულ ქორწინებისათვის, რომ ათასი ვერსი ასე გულ-ხეთქებით მოვდიოდი?!.

გაბრაზებული გავარდა ოთახიდან და თან კარები გაირახუნა.

### III

რვა დღის შემდეგ ლონდონში ასეთის შინაარსის დეპეშა მივიდა!

„თქვენმა მოხერხებულმა საქციელმა აღტაცებაში მომიყვანა. მომილოცნია. დაბრუნდით. მიპატიებია.

თქვენი მამა უადვორტი“

მ. გუმათელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება შვილი მამის აზრის გამოცხადებას:

„თუმცა-და ეს წერილი საზოგადო ჰაზრს და მნიშვნელობას მოკლებულია, მაგრამ კერძოდ ჩემთვის-კი სასარგებლოა, რადგანაც ამ ჟამად ავად გახლავართ. ამ წერილის დაბეჭდვა-კი სამხიარულოა ჩემთვის დიდად... ცოტა შვებას მაგრძნობინებს მე ავადმყოფს და შვება ავადმყოფისა თქვენ ბევრად უკეთ მოგეხსენებათ, რომ მადლია».

რას იზამთ, მოდი და ყურადღებას ნუ მიაქცევთ, როდესაც „კერძოდ მისთვის სასარგებლოა“, რადგანაც „ავად არის“, „სამხიარულოა მისთვის“, „ავადმყოფს შვებას მისცემს“ და ეს-კი „მადლია“. მოდი და მადლს ნუ იზამ?! ხელი არ მომტყდებოდა, რომ ეს წერილი დავიწყების კალათაში მესროლა, როდესაც მადლის ქმნა ასე ადვილი იყო. კიდეც ამატომ მოვაქციე ეს წერილი ჩემს სახელდახელოში, რომ „შვება ვაგრძნობინო ავადმყოფს“.

აი, ასში ოთხმოცდა-ცხრამეტის ასეთ ეპისტოლეს წაკითხვას არის იძულებული ჩვენი მედაბა-სოფლე და ბევრჯელ თმებს იგლეჯავს, მაგრამ დაუბეჭდველობას როგორ გაუბედავს, როდესაც ამითი ერთი გარისხდება, მეორე—მადლის ქმნასა და ავადმყოფის შველას ითხოვს!...

ვიკითხოთ ახლა კიდევ, რა არის ზოგიერთი კორესპონდენტი გაზეთისათვის? კორესპონდენტსა და კორესპოდენტს „შუა უძევს დიდი ზღვარი“ კორესპონდენტი ღვთის წყალობაა კარგი დ ასეთი-კი, რომელთა ხელის-ხელ საგოგმანებელი მაგალითები ზემოდ ჩამოვთვალეთ, წყალობავეა, მაგრამ ის წყალობა, რომელსაც ჩვენი ბატონები ყმებისთვის გასცემდნენ ხოლმე, როდესაც ათასის წკეპლის მაგიერ სამასს დაჰკრავდნენ. უნდა იკითხო ასეთი კორესპონდენციები, ჰხიო და თან იძახო:

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს,
რა სიტყვა მოუწერია!..

ჩიორა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. მეჯვრისხევი**, 12 სექტემბერი. როგორც მოსალოდნელი იყო, ხოლერა ჩვენს სოფელსაც ეწვია და მკათათვის 24-დგან დღემდის, სამწუხაროდ, რამდენიმე სული იმსხვერპლა. როგორც ყველგან, პირველში აქაც საშინელი თავს ზარი დასცა ამ ულმობელმა სენმა მკვიდრთ და ზოგმა გლეხკაცობამ მთებსა და ტყეებს მიჰმართა და იქ გააშენა ახალი სოფლები. მაგრამ შეუჩვეველმა და მოუსვენარმა ცხოვრებამ უარესს დღეში ჩააგდო საბრალო უალაგო-ალაგას გახიზნულები, მალე ისევ სოფლად დაბრუნდნენ და ზოგი მათგანი დღესაც ლოგინში კვნესის. ოსების ხეობიდგან, რომელიც მეჯვრისხევს ზედ აკრავს, და სხვა სოფლებიდგან, ერთი თთვე მეტი გავიდა, ფეხი ალარავის შემოუდგამს აქ: შეიკრა გზები და სრულიად შესწყდა მათსა და ჩვენ შორის მსვლელობა.

აჰისთანა დროს კაცს დიდი სიფრთხილე, სიფხიზლე და რაიმე ღონისძიება ჰმართებს, და ამ მხრივ შეგვიძლიან თამამადა ვსთქვათ, ჩვენი საზოგადოება უიარაღოდ გულ-ხელ დაკრეფილი არ დაჰხვედრია მტერს. გაისმა თუ არა ხმა, რომ „ბაცილები გორის ქუჩებშიაც დაცოცავენო“, აქ მოხდა საზოგადო ყრილობა და ჩამოვარდა ლაპარაკი, თუ რა ღონისძიებანი მიგვეღო ამ მოუწვევარ სტუმრის წინაამდეგ საბრძოლველად. პირველი ნუგეში და საიმედო სახსარი ექიმები და წამლები იყო ამ შემთხვევისათვის და ამიტომ გაიმართა საზოგადოებაში ხელის მოწერა, რომ ამ გვარად შემოსულის შემოწირულობით გვეშოვნა ერთიცა და მეორეც, უკეთუ მთავრობა უსასყიდლოდ ვერ მოგვაშველებდა ამეებს. მთავრობამ მართლაც ვერ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა ამ მხრივ, რადგანაც იმ დროს სხვა ადგილებში კიდევ უფრო დიდი მოთხოვნილება იყო ექიმებისა.

სისუფთავის მხრივაც დღეს მეჯვრისხევი, სხვა სოფლებთან შედარებით, სასიამოვნო სანახავია, რადგანაც ამასაც მიექცა ჯეროვანი ყურადღება. აქ შესდგა საამისოდ სასანიტარო კომისია 12 საპატიო აზნაურისა და გლეხისაგან, რომელთ უფროსს ზედამხედველად დანიშნულია მთავრობის მიერ თავ. კონსტ. ალ. ერისთავი. კომისია ხშირად ათვალიერებდა მთელს სოფელს და საჭირო დარიგებასა და განკარგულებას აძლევდა ხალხს, რომელიც დიდის სიამოვნებით ასრულებდა ყოველსავე. სოფელი დაყოფილია ოთხ უბნად და თითოეულზედ მიჩემებულია სამ-სამი სანიტარი.

სასიხარულოდ ჩვენდა, დღეს აქ აგერ თთვე ნახევრით დაბუდებული ხოლერა თითქმის მოსპობილია და ხალხი დამშვიდებული. მთელი გაღმა-გამოღმა, ანუ დიდ და პატარა მეჯვრისხევში, აძვის საზოგადოებითურთ, რომელიც შესდგება 550 მკვიდრთაგან, ამ ხნის განმავლობაში ხოლერით გარდაიცვალა 17 მამაკაცი და 15 დედაკაცი, სულ 32 სული, ამათში 6 აზნაური.

თან-კან

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი ზოგიერთი ცნობანი ამიერკავკასიაში რკინის გზის ახალის შტოების გაყვანის შესახებ. მოგვყავს გაზეთ „Кавказъ“-იდგან კიდევ რამდენიმე ცნობა ამ საქმის შესახებ:

კახეთის რკინის გზის შტოს გაყვანა დაჯდება დაახლოვებით 3.750,000 მანეთი; ქვლასიდგან შუშამდე — 2.600,000 მანეთამდე; შემახიის გზა — 1 მილიონზედ ცოტა მეტი. ამ გვარად, რკინის გზის სამის შტოს გაყვანა ღირება $7^1/_2$ მილიონ მანათად. ვნახოთ ეხლა, რა შემოსავალი იქნება ამ გზებიდგან:

გამოანგარიშებულია, რომ კახეთიდგან ყოველ წლივ რკინის გზა სულ ცოტა 3.750,000 ფუთს საქონელს გამოიტანს და 1 მილიონ ფუთზედ მეტს საქონელს მიიტანს... ამ საქონლის გადატან-გადმოტანა შეადგენს, ხარჯს გარდა, 550,000 მანათის შემოსავალს, ხარჯი 300,000 მანათზედ მეტი იქნება. მაშასადამე, რკინის გზას 250,000 მანათამდე დარჩება წლიური შემოსავალი.

ქვლასიდგან შუშამდე რკინის გზა წელიწადში 3 მილიონ ფუთამდე საქონელს გადიტან-გადმოიტანს და წმინდა შემოსავალი 175,000 მანათი დარჩება. შემახიის გზას საქონლის გადატან-გადმოტანისაგან სულ ცოტა 75,000 მანეთი მოგება ექნება ყოველ წლივ. სამისავე რკინის გზის წმინდა შემოსავალი შეადგენს 500,000 მანეთს.

მაშასადამე, ამბობს გაზეთი: ამ რკინის გზების გამკეთებელი არაფერს არ იზარალებს. პირ-იქით, ის $7^1/_2$ მილიონი, რომელიც ამ რკინის გზების გაყვანისათვის დაეხარჯება, ყოველ წლივ $6^0/_0$-ზედ მეტს მოგებას მოიტანს.

ეს ანგარიში ვარაუდით არის გამოყვანილი. ეჭვი არ არის, რომ როცა რკინის გზა გაკეთდება კახეთში, მაშინ იქიდგან უფრო მომეტებულს საქონელს გამოიტანენ, რადგანაც მოსალოდნელია, რომ რკინის გზა წინ წასწევს კახეთის ვაჭრობა-მრეწველობას.

## უცნაური ამბავი

18 სექტემბერს შემდეგს ამბავს დავესწარით: ერთს ქუჩაში მოდიოდა აჩქარებით შუა ტანისა და შუა ხნის პირხმელი და ღარიბულად ჩაცმული დედაკაცი და ხმა მაღლა ჰგოდებდა: „რა ეშველება ახლა ჩემს შვილს? რა ვუყო, რა წყალში გადავვარდე, ვის მივმართო? ტყუილად გადავალიე ამდენს ხანს ძალ-ღონე ჩეს საბრალო შვილებს, თუ-კი არ მისცემენ ნებას ისწავლონ ბოლომდე, რომ მერე შეეძლოთ პატიოსანის შრომით თავი ირჩინონ და არჩინონ სიბერის დროს საბრალო და უბედური, უმამულ-დედულო მშობლები?!.“ დიდად გამაოცა ამ დედაკაცის ასეთმა გულ-საკლავმა ლაპარაკმა. რომელსამე დიდს უსამართლობას უნდა აენთო მის გულში უთუოდ ეს დიდი ცეცხლი!

ამასთან ამ დროს ლაპარაკი არ შეიძლებოდა, ისე გამწარებული გარბოდა ქუჩაში. ამ დედაკაცს უკან მისდევდა მწარედ დაღონებულ-დაძმარებული და თვალ-ცრემლიანი 13—14 წლის ყმაწვილი. პატარა ხანს შევაჩერე ყმაწვილი და დაწვრილებით გამოვკითხე, რა იყო მის თავს, ან რა დამართნოდა იმ დედაკაცს, რომ ისე გამწარებულიყო. ყმაწვილმა მიამბო ყოველივე:

„ებრაელი ვარ, შვილი იმ დედაკაცისა. აქამდე ვსწავლობდი საქალაქო სასწავლებელში, დავასრულე პირველ შეგირდად, მოწმობაში ხუთები მისხდს, ოთხი ერთიც არაა. ეხლა უფრო მაღალს სასწავლებელში უნდა შევსულიყავი, იმედი მქონდა, რომ უეჭველად მიმიღებდნენ და დახმარებასაც აღმომიჩენდნენ, როგორც ღარიბს, როცა გამიცნობდნენ სწავლაში... ამ იმედით 16 სექტემბერს მე და დედა ჩემი წავედით სასწავლებელში, სადაც შეკრებილიყვნენ მშობლები მისაბარებელ ყმაწვილებითურთ. ვაკანსია ცოტა ყოფილიყო მისაღების ყმაწვილებისა—სულ 18, მგონი, მეტი არა. ექიმს შეგვიმოწმებინეს ჯან-მრთელობა. ექიმმა მიმოწმა, რომ ჯანმრთელი ვარ და მე და დედაჩემსაც ძალიან გაგვეხარდა. ასეცჩასწერა ჟურნალში ექიმმა. მეორე დღეს დილით საეგზამენოდ გამოვცხადდით... სასწავლებლის უფროსმა და მისმა თანაშემწეებმა მითხრეს, რომ ნებას არ მოგცემთ ეგზამენის დაჭერისას, რადგან ჯანმრთელი არა ხარო. მე ტირილი დავიწყე და გამოვიქეც დედასთან... წავედით ორივენი ექიმთან, რომელიც წამოგვყვა სასწავლებელში და კვლავ განუმეორა მასწავლებელს, რომ გულ-მკერდის სისუსტე არ ეტყობაო... იმ დღეს ეგზამენი დამაჭერინეს, დღესაც აგრეთვე; რაც მკითხეს, ყველას პასუხი ვუთხარი... ახლა-კი გადაწყვეტით გამომიცხადეს, არ მიგიღებთ, რადგანაც ჯან-საღი არა ხარო... ჩემ მაგიერად მიიღეს შეძლებულის კაცის შვილი, რომელმაც სუსტად დაიჭირა ეგზამენი და წინა დღეს დაითხოვეს, ჯანმრთელი არა ხარო.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ნაამბობი ყმაწვილისა, მაგრამ თუ მართალია, ეს ამბავი თავის თავადაც ბევრსა ჰლაღადებს. ნუ თუ მართალა ებრაელობამ დააბრკოლა ბავშვი? სასურველია, რომ ეს ამბავი ტყუილი და სიმართლეს მოკლებული იყოს, მაგრამ თუ ბალღის ნაამბობი მართალია, უნდა ვიფიქროთ, რომ უკუღმართს მოძღვრებას,—ანტისემიტიზმს—ამ დევნასა და სიძულილს ებრაელთა ტომისას—ჩვენს სკოლებშიაც ფეხი შეუდგამს.

## რუსეთი

ამ ზაფხულს ორი საერთაშორისო კონგრესი იყო სწავლულთა მოსკოვს და ერთიც რკინის გზის კონგრესი—პეტერბურგს.

ამ კონგრესებზედ დასასწრებლად რუსეთის სწავლულებმა და მთავრობამაც დიდის თავაზით მოიწვია უცხოელი სწავლულები.

გრმანიიდგან პირველ ორ კონგრესზედ ორის მეტი არ დასწრებია და ისინიც მთავრობის წარმომადგენელნი იყვნენ. დაესწრო მხოლოდ ვირხოვი თავისის შვილით. დანარჩენ მეცნიერებმა არა სცნეს საჭიროდ ამ კონგრესებს დასწრებოდნენ.

ასეთი ქცევა თანამემამულე მეცნიერთა არ მოსწონს სახელ-განთქმულს მეცნიერს და დეპუტატს ვირხოვს და ერთს გერმანულს გაზეთში ასე უსაყვედურებს:

„ასეთი თქვენი ქცევაო, სწერს პროფესორი ვირხოვი, ვერ დაამყარებს ერთა შორის საურთიერთო სიყვარულსა და პატივისცემას. თუ მეცნიერების შემწეობითაც არ გვინდა დავუახლოვდეთ ერთმანეთს, მაშ რა ღონისძიებაა სხვა ერთმანეთთან დაახლოვებისათვის“.

შემდეგ ვირხოვი აღნიშნავს იმ სამწუხარო გარემოებას, რომ გერმანიის სკოლებში არ ასწავლიან რუსულს ენასაო და ერთი მიზეზიც, პროფესორის აზრით, ეს არის მეზობელ ერთა მტრობა-სიძულილისაო.

შემდეგ ვირხოვი მოიხსენიებს იმას, თუ რა სულითა და გულით მიიღო ის მოსკოვმა.

მეცნიერების წინ წაწევა, მოქალაქობრივის ცხოვრების განვითარება და სოციალურ ურთიერთობის განკარგება რომელსამე ქვეყანაში, ამ მეცნიერის აზრით, შეძენაა არამც თუ მარტო იმ ქვეყნისათვის, არამედ ყოველის სხვა ქვეყნისათვისაცა.

პეტერბურგს 14—15 სექტემბერს ავად გახდა 18, გარდაიცვალა 3, მორჩა 29; კრონშტადტს 13 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, მორჩა 16.

მოსკოვს 13 სექტემბერს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 7, მორჩა 11; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 3, მორჩა 3.

კიევს 13 სექტემბერს ავად გახდა 38, გარდაიცვალა 20, მორჩა 32; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 74, გარდაიცვალა 29, მორჩა 43.

ლიუბლინს 13 სექტემბერს ავად გახდა 50, გარდაიცვალა 19, მორჩა 95; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 67, გარდაიცვალა 23, მორჩა 28.

რიგას 13 სექტემბერს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3, მორჩა 1.

ნიჟნი-ნოვგოროდს 8—15 სექტემბერს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 15, მორჩა 18; მთელს გუბერნიაში ამავე დროს ავად გახდა 38, გარდაიცვალა 27, მორჩა 51.

ორიოლს 7—14 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში იმავე დროს ავად გახდა 176, გარდაიცვალა 74.

პოდოლს 30 აგვისტოს და 11 სექტემბერს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 5, მორჩა 2.

რიაზანს 7—14 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში იმავე დროს ავად გახდა 92, გარდაიცვალა 45, მორჩა 46.

სამარას 13 სექტემბერს ავად გახდა 1, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 34, მორჩა 22.

სარატოვს 13 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 309, გარდაიცვალა 164; ცარიცინს ავად გახდა 1.

ტამბოვს 14 სექტემბერს ავად გახდა 43, გარდაიცვალა 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 58, გარდაიცვალა 20.

ჩერნიგოვს 8—12 სექტემბერს ავად გახდა 54, გარდაიცვალა 11, მორჩა 31.

ხერსონს 12 სექტემბერს ავად გახდა 43, გარდაიცვალა 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 58, გარდაიცვალა 20.

ყუბანის ოლქში 13 სექტემბერს ავად გახდა 104, გარდაიცვალა 66.

ნოვოჩერკასკს 11 და 12 სექტემბერს ავად გახდა 1, მორჩა 3.

როსტოვს ავად გახდა 3, მორჩა 2; ტაგანროგს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 8; ოლქებში ავად გახდა 150, გარდაიცვალა 61, მორჩა 400.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ვიდრე ირლანდიაში 1887 წ. საადგილ-მამულო კანონს შემოიღებდნენ, ერთმა ლენდლორდმა მიიღო ნება სასამართლოს მიერ მხოლოდ ერთის წლის განმავლობაში დაეთხოვნა თავის მამულიდგან ის ხიზანი, რომელიც ღალას დროზედ არ აძლევდა. მაგრამ სალიუსბერის მინისტრობაში შემოღებულმა კანონმა ლენდლორდს ის უფლება მიანიჭა, რომ როდესაც ინებებდა, მაშინ შეეძლო ხიზანის დათხოვნა, მხოლოდ 7 დღის წინად ოფიციალურის ბარათით-კი უნდა შეეტყობინებინა მისთვის: სასამართლოსაგან ნება მაქვს აგყარო და კიდეც გაცნობებ ამ

ამბავსაო. ხოლო ხიზანს იმავე კანონით უფლება ქძლეოდა, რომ თუ 6 თთვის განმავლობაში გადიხდიდა ხვედრს ღალას, ისევ შეეძლო დარჩენა იმავე მამულში და სასამართლოს განაჩენი გაუქმდებოდა. ამ გვარმა კანონმა ამ ბოლოს დროს იმ ხიზნების რიცხვი, რომელიც ღალას დროზედ არ იხდიდა, დიდად შეამცირა, მაგრამ ამასთან ერთად ლენდლორდებს ის უფლებაც არ ეკარგებოდათ, რომლითაც შეეძლოთ დათხოვნა იმ გვარ ხიზნებისა, რის გამოც ხიზნები დიდ შიშში იყვნენ. აი, მაგალითებრ: 1890 წელს ხიზნების მამულიდგან დათხოვნის თაობაზედ 5,932 განაჩენი შესდგა და სისრულეში მოიყვანეს-კი მხოლოდ 1,011, 1891 წ.—4,906 განაჩენი შესდგა, ამათ შორის სისრულეში მოიყვანეს მხოლოდ 557. 1892 წ. პირველ წლის ნახევარში ხიზანთა რიცხვმა უფრო იმატა. ხიზანთა უმეტესმა ნაწილმა, რომლის წინააღმდეგ განაჩენი დადგენილი იყო, თუმცა ექვსი თთვის განმავლობაში გადასახად ფულის შეკრებაც მოასწრო, მაგრამ გარდახდა არ ისურვა და იმათი რიცხვი ამ ჟამად 10,000 კომლამდე ავიდა, რაც შეადგენს 50,000 სულს. 1887 წ. შემოღებულის კანონის ძალით, ყველა ეს მეკომურნი მამულებიდგან დათხოვნილ, იქმნებიან. ამ საქმეს ირლანდიელი ლენდლორდები უკვე შეუდგნენ. აზრი ამ გვარ მოქმედებისა ის-კი არ არის, რომ ადგილ-მამულს მეტი შემოატანინონ, არამედ ამით უნდათ ლიბერალთა მთავრობას ფრთები შეაკვეცონ და მათი ძალ-ღონე შეასუსტონ.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ქალაქს რუბეეში, სადაც მცხოვრებთა კრება იყო, აბბატმა ჰარნიემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ჩვენ დავემორჩილეთ რესპუბლიკას ლეონ მე-XIII ბრძანებით. მატარებელში ვსხდებით მისთვის, რომ ჩვენვე ვმართოთ. სახლში შევდივართ მისთვის, რომ ჩვენვე მოვუაროთ, და მოვუვლით კიდეც“.

— ის ხმა, რომ სოციალისტების ერთი მეთაურთაგანი ლიბკნეხტი საფრანგეთიდგან განდევნესო, ტყუილი აღმოჩნდა.

**ოსმალეთი.** სულთანის ბრძანებით კომისია შემდგარა, რომელმაც ოსმალეთში სომეხთა საჩივარი უნდა განიხილოს.

## წვრილი ამბავი

გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი ამბავი იმის შესახებ, თუ რა პატივისცემით მიეგებნენ ვენგრიის გამოჩენილს მამულიშვილს კოშუტს მისის დაბადების 90 წლის შესრულების დღეს, 19 სექტემბერს, ტურინში. ამ დღეს ტურინში მივიდა თურმე ვენგრიის დეპუტაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 15 კაცი, საეროვნო ტანთსაცმელში გამოწყობილი, და რომელსაც ჰმეთაურობდა ცნობილი ისტორიკოსი ტალი. რკინის გზის სადგურზედვე კოშუტს მიეგებნენ სახელოვანი მადიარები, იტალიაში მცხოვრებელნი, და მათ შორის გრაფ კაროლის და კოშუტის შვილი, რომელიც მთავარი წევრია ნეაპოლის რკინის გზების სამმართველოსი. ადამიანს გული ამოუჯდებოდა, რომ ენახა სურათი კოშუტის მიერ დეპუტაციის მიღებისა. როდესაც მოხუცმა ცრემლ-მორევით სთქვა, რომ ერთად-ერთი ჩემი სურვილი ის-ღაა, ჩქარა მოეღოს ბოლო და დასასრული ჩემს ხანგრძლივსა და ტვირთ-მძიმე სიცოცხლესაო, ერთი ოთხმოცის წლის დეპუტატი გადაეხვია და შესძახა: „მეც თან წამიყვანეო!“. კოშუტი დიდად გახარებული იყო, რომ ერთხელ კიდევ ესმოდა თავისის სამშობლო ენის გაგონება. ამას გარდა, კოშუტმა სთქვა, სასიამოვნოა, რომ მცირე დეპუტაცია გამოუგზავნიათ, რადგან, წინააღმდეგს შემთხვევაში, დიდხანს ლაპარაკი და ბაასი დამჭირდებოდა და ჯან-მრთელობა-კი ამის ნებას არ მაძლევსო. „გულითა და სულით ყოველთვის ვენგრიაში ვარ, თუმცა მე თითონ ვენგრიაზედ შორს ვიმყოფებიო“, სთქვა დასასრულ დიდებულმა მოხუცმა და თან დასძინა: „მე ეხლა მეტად მოხუცი ვარ, რომ კიდევ იმედი მქონდეს, ვენგრიის სამსახურს შევიძლებ-მეთქი, მაგრამ მწამს-კი, რომ ჩემის საყვარელის სამშობლოს ბედნიერება მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლებააო“. დეპუტაციამ კოშუტს საუცხოო ალბომი მიართვა ვენგრიის „დამოუკიდებელთა“ დასის მხრივ. 20 სექტემბერს მადიარები ტურინის ქალაქის მოურავთან იყვნენ და მადლობა გადუხადეს იმ პატივისცემისა და მასპინძლობისათვის, რომლითაც ტურინი კოშუტს დაუხვდა. შემდეგ მადიარებმა დადაფვნეს გარიბალდისა და კავურის ძეგლები, ხოლო კოშუტი-კი თავისს სტუმრებს საუზმით გაუმასპინძლდა. ქვეყნის ყოველ კუთხიდგან ასობით მოსდის საჩუქარი და მილოცვის წერილი მხცოვანს მამულიშვილს. ქ. ტურინმა უძღვნა მშვენიერი ვარდების კალათა, ყვავილებით მოფენილი. თვით ვენგრიაში კოშუტის პატივისცემამ მშვიდობიანად ჩაიარა. იმ ადრესზედ, რომელიც პატივცემულს კოშუტს მიართვეს, 14,900 ადამიანს უწერია ხელი. ამათში შორის მარტო 2,000 დედაკაცია.

## დეპეშა

21 სექტემბერი

**პეტერბურგი.** სარატოვში დაარსდა თავად-აზნაურობის ფულით ალექსანდრეს სახელობაზედ თავ-შესაფარი პანსიონი.

**სიმლა.** ავღანის ემირი გენერალს რობერტს დეკემბრის პირველს რიცხვებში ინახულებს.

22 სექტემბერი

**მოსკოვი.** დღეს კარგი დარი იდგა. კრემლიდან აუარებელი ხალხი გაემგზავრა სერგის ლავრას ლიტანიით; ლიტანიაში, ვიდრე კრემლის მიდამო დაილევოდა, იმყოფებოდნენ გენერალ-გუბერნატორი და მთავრობის სხვა წარმომადგენელნიცა. Кремьса და Красная площадь-ის მიდამოებზედ ჯარები იდგნენ მწკრივად. გზა-ზა ყოველ ეკკლესიიდგან გამოჰქონდათ დროშები, ხატები და ჯვრები. 5 საათზედ ლიტანია მივიდა მიტიშჩას და დაბინავდა ღამის გასათევად. დროშები ეკკლესიაში შეიტანეს. დაიწყო მწუხრი ცისკრითურთ. ხალხი დაბინავდა ქუჩებში, სადაც ყველგან ცეცხლები ენთო. მლოცავნი შემოუსხდნენ სტოლებს უსასყიდლო საჩაიებში. გზა მოფენილია ლვიით. გზა-გზა ლიტანიას მრავალნი სხვანი ემატებიან კიდევ.

**ვენა.** დღეს იმპერატორ ფრანც იოსების თანდასწრებით პეშტში დაიწყო სესია ავსტრიის დელეგაციისა. იმპერატორმა ბრძანა, სხვათაშორის, რომ ყველა დიდ სახელმწიფოსთან კვლავ დიდი მეგობრობა გვაქვსო; სასიკეთოა შემდეგისთვის ის გარემოება, რომ მეგობრობა გვაქვს მოკავშირე დიდ სახელმწიფოებთანაო.

ეს ამბავი ხელს უწყობს მშვიდობიანობის დამკვიდრებას. ის გარემოება, რომ ყოველი ერი მოწადინებულია დამშვიდებულს ცხოვრებას და ჰზრუნავენ იმათ კეთილდღეობისათვის, არის მიზეზი იმისი, რომ საერთაშორის ურთიერთობა დიდს გამწვავებამდე არ მიდის.

**მადრიდი.** იეზუიტებმა ამოირჩიეს თავის ორდენის გენერლად ისპანიელი იეზუიტი მარტინი.

პეტერბურგის ბირჟა, 18 სექტ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,89 | 7,92 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 158 | 158½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217¼ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—112)

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:
**ბრძოლა**
საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,
ანუ
გიორგი სააკაძე და მისი დრო.
იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემს საზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად
**საქართველოს კალენდარი**
1893 წლისათვის,
შედგენილი და გამოცემული ვალერიან გუნიას მიერ.
კალენდარი კვლავინდებურად დასურათებული, უფრო სრული და ყოველის ცნობით სავსე იქნება. ფასი ისევ ის დარჩება. მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადებანი. ფასი წიგნის თითო გვერდისა საგანცხადებოდ თავში 12 მ., ბოლოში 5 მან., ნახევარი გვერდი 3 მან.
მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ: 1) გამომცემელს სათავად-აზნაურო ბანკში; 2) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში და 3) მაქსიმე შარაძის სტამბაში. (10—5)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი
**პანსიონი და სასწავლებელი**
ა. გ. მირზაშვილისა
იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისგარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ. (50—9)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში იყიდება
ახალი წიგნი
ვახუშტი ბატონიშვილი
**საქართველოს**
გეოგრაფია
1 წიგნი
**სამცხე**
ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.
გამოცემა
მოსე ჯანაშვილისა
ფასი 25 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
**„ივერია“**
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.
თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.
თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.
ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:
ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.
პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.
რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 22-го Сентября 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.